მორწმუნე ქალი

بسم الله الرحمن الرحيم

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

დიანეთის საქმეთა
სამმართველოს გამომცემლობა

სახალხო წიგნები

თარგმნა
თამაზ მიქელაძემ

გრაფიკა და დიზაინი
ბილალ ილკაი

muslim georgia

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი
وقف تضامن دولي مسلمو جورجيا
muslim georgia uluslararası yardımlaşma vakfı

www.muslimgeorgia.org
info@muslimgeorgia.org
muslim.georgia.18
muslim.georgia.54
georgiaquran
muslim_georgia
muslimgeorgiaquran
muslimgeorgia

ჯოლის მოწმეობა

12

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim international charity

ISBN
978-9941-9-2-2-9-1-1
9 789941 929291 1

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

სარჩევი

ქალთა მორწმუნოება და "ჭეშმარიტების სქესი"	7
ყურანის გზავნილი ქალის შესახებ	17
ქალთა მორწმუნეობის სოციალური გამოვლინება	27
ქალის მიერ საკუთარი თავის აღმოჩენა	35
ქალთა მორწმუნოება მოჩვენებითია თუ რეალობა?	40
ქალთა მორწმუნოების კოგნიტური განზომილება	49
ზ. აიშეს მორწმუნეობა	56

muslim georgia

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

ქალთა მოსაზრება და "ქეშმარიტების სქესი"

ნაზიფე შიშმან

თორაში მოთხრობილია იგავი, რომლის მიხედვითაც ორი ქალი ერთი ბავშვის დედობას იჩემებს და ამ საკითხზე დავობენ. ეს დავა ჰზ. სულეიმანამდე მიაღწევს. რადგან არცერთი დედობის კანდიდატი არ თმობდა და ბიოლოგიური დედის დამტკიცება შეუძლებელი ხდებოდა, მდგომარეობის სირთულის გათვალისწინებით სოლომონმა შემდეგ ხერხს მიმართა. უბრძანა მოეტანათ ხმალი და ბავშვი ორად გაეჭრათ. მოდავე ქალებიდან ერთ-ერთმა დავას მაშინვე თავი დაანება და ბავშვი დათმო. სოლომონმა ბავშვი სწორედ იმ ქალს მისცა, რომელმაც ბავშვი დათმო. ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნებაზე ნამდვილმა დედამ იზრუნა.

კავკასიურ ცარცის წრეშიც მსგავსი ამბავია მოთხრობილი, მაგრამ იქ ბიოლოგიურ დედაზე მეტი უპირატესობა ბავშვის აღმზრდელ, მასზე მზრუნველ დედას

ენიჭება, რომელიც ანალოგიურად დავას წყვეტს. მმართველის ცოლი ბავშვ მოახლეს დაუტოვებს და გაიქცევა. წლების შემდეგ უკან რომ დაბრუნდება შვილის დაბრუნებას მოითხოვს. მოსამართლე ცარცით წრეს დაახაზვინებს და ბავშვს შიგ ჩააყენებს, მოდავეებს კი ეტყვის, რომელიც ბავშვს თავისკენ გადაითრევს მისი იქნებაო. ბავშვის აღმზრდელ მოსამსახურეს ბავშვი შეეცოდება, ტკივილი რომ არ მოაყენონ ხელს გაუშვებს და მეორე მხარეს დაუთმობს. მოსამართლე სადავო ბავშვს სწორედ მოახლეს არგუნებს. ავტორი ამით მიანიშნებს, რომ ამაგი წარმოშობს უფლებას.

ორივე შემთხვევაში მიუხედავად იმისა, რომ მართლები იყვნენ, ქალებმა გადაწყვიტეს დაეცვათ საყვარელი არსება, ტკივილი არ მიეყენებინათ და დათმობაზე წავიდნენ. მათთვის სიმართლის ზეიმი კი არა, სიცოცხლის გადარჩენა უფრო მნიშვნელოვანი იყო. მეორე ამბავში მოახლე ბიოლოგიური დედა არ იყო, მაგრამ მისი დედად განხილვა დასაშვებია. გამომდინარე აქედან, ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ზოგადად ქალის ქცევას დედობრივი გრძნობები განსაზღვრავს. დედობრივი აზროვნების ძირითად პრინციპს ზრუნვის ეთიკა და სიცოცხლისადმი პატივისცემა წარმოადგენს. გარდა ამისა ქალები უფ-

რო მგრძნობიარენი არიან გარემო მოვლენების მიმართ. შესაბამისად ქალებსა და კაცებს შორის მოვლენებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით სერიოზული განსხვავება შეინიშნება.

ქალსა და კაცს შორის ამგვარი განსხვავებული დამოკიდებულება საზოგადოებრივ და კულტურულ დონეზე უფრო მეტადაა წარმოჩენილი. გარდა ამისა, ზოგიერთი მკვლევარის აზრით ეს განსხვავება შეინიშნება არამარტო საზოგადოებრივი ცხოვრების ასპექტებზე რაღაც გამოვლინებების სახით, არამედ ის მოქმედებს ზნეობრივი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაშიც. მაგალითად კაროლ გილიგანმა წიგნის დასაწყისში აღწერილ ამბავში ქალის ქცევა შეადარა შუამავალ იბრაჰიმის ქცევას, რომელიც ღვთის ბრძანებისამებრ შვილის მსხვერპლად შეწირვას აპირებდა. გილიგანის აზრით ეს ორი მოვლენა მკაფიოდ გამოხატავს ქალისა და მამაკაცის დამოკიდებულებებს და მათ შორის განსხვავებას. მისი ანალიზის მიხედვით ქალებს შეუძლიათ ჭეშმარიტების დათმობის ხარჯზე უპირატესობა სიცოცხლეს მიანიჭონ. კონკრეტულ ამბავში დედამ ზუსტად იცოდა სიმართლე. იცოდა, რომ ის მისი შვილი იყო, მაგრამ რაღან მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა დათმო და თავის სიმართლეს და დედობას შეელია. მა-

მაკაცის შემთხვევაში მოვლენა შემდეგნაირად განვითარდა. ღვთის ბრანებისამებრ, რომელიც ჭეშმარიტება იყო, შუამავალმა იბრაჰიმმა გადაწყვიტა საკუთარი შვილი მსხვერპლად შეეწირა. ამ ვარაუდზე დაყრდნობით გილიგანი ამბობს, რომ ქალები სიცოცხლეს ანიჭებენ უპირატესობას მაგრამ მამაკაცებისათვის წესები და ღვთიური ბრძანებებია წინა პლანზე წამოწეული.

გილიგანმა ქალთა და მამაკაცთა ქცევაც შეისწავლა და დაასკვნა, რომ ამ ორ სქესს შორის მოვლენების მიმართ ეთიკური და ზნეობრივი დამოკიდებულებების თვალსაზრისითაც განსხვავებულობა შეინიშნება. გილიგანის მიხედვით ქალები ზნეობრივი გადაწყვეტილებების მიღებისას არა უფლებებს, არამედ ურთიერთობას ანიჭებენ უპირატესობას, მაგრამ მამაკაცები უფლებებს აყენებენ წინა პლანზე.

ათას ცხრაას ოთხმოცი წლის შემდგომი კულტურულ-ფემინისტური მოძრაობაც მსგავს ანალიზს გვთავაზობს. ამ ანალიზის თანახმად ავტორები ამტკიცებენ, რომ ქალებში ნაკლებად შეინიშნება იმპერიალიზმისაკენ მიდრეკილებები და ისინი უფრო სიცოცხლისადმი მეტი პატივისცემით გამოირჩევიან. დაახლოებით მსგავს იდეას ემყარება ეკოფემინიზმიც, რომლის მიხედვითაც ქალები უფრო მეტად ახლოს

არიან ბუნებასთან, უფრო მეტად ესმით ბუ-ნებისგან წამოსული სიგნალები და უფრო ჰარმონიულად ეწყობიან მას.

უფრო მეტიც, ზოგიერთის მტკიცებით ახალ ფემინისტურ იდეებსა და ახალ ფი-ზიკას შორის გარკვეული კავშირია. რო-ბინ მორგანის აზრით ქალები საუკუნების მანძილზე ფლობდნენ იმ დამოკიდებულე-ბას ფიზიკური სამყაროს მიმართ, რასაც ახლა ახალი ფიზიკა გვთავაზობს. ქალე-ბი ურთიერთობას და გარემოს შიგნიდან უყურებენ და მათთვის უპირველესი ღირე-ბულება სიცოცხლისადმი პატივისცემაა.

ზოგადად მიიჩნევა, რომ ქალები ყო-ველდღიურ ცხოვრებაში მიმდინარე ურთი-ერთობებშიც უფრო მძაფრად ერთვებიან. ამიტომაა, რომ უფრო და უფრო მუსირებს აზრი ქალთა პოლიტიკაში მეტი ჩართუ-ლობის საჭიროების შესახებ. ასევე მიიჩნე-ვა, რომ ქალების დამოკიდებულება უფრო მშვიდობიანი და კონსტრუქციულია. ფემი-ნისტები მიიჩნევენ, რომ ქალები უფრო მე-ტად ტოლერანტული არიან სხვათა აზრის მიმართ.

თუმცა სადავო საკითხია, რამდენად საკმარისია ქალის „დედობრივი აზროვ-ნება“ ზნეობის მაღალ საფეხურზე არსე-ბული გამოწვევების საპასუხოდ. არც თუ

ისე იშვიათად ხდება, რომ ქალი საკუთარი შვილებისთვის გადარჩენისთვის სხვის შვილებს წირავს. ცალკე აღებული ქალი უფრო მშვიდობისმოყვარე, შემწყნარებელი და გულისხმიერია და ეს საზოგადოებრივ პრაქტიკაში ჩანს.

გარდა ამისა, ჩვენ კიდევ ერთხელ უნდა დავუბრუნდეთ ზევით მოთხრობილ ორ მოვლენას. ორივე ამბავში ერთი მნიშვნელოვანი რამ გამოგვრჩა. ორივე ამბავში ყურადღება გავამახვილეთ კონკრეტული ქალების ქცევაზე,მაგრამ მათი მეტოქეებიც ხომ ქალები იყვნენ. ჰზ. სულეიმანის ბრძანების მიხედვით ბავშვი ორად უნდა გაეჭრათ. ერთ-ერთი მოდავე ამას დათანხმდა. იგივე მოხდა კავკასიური ცარცის წრის სიუჟეტშიც. ქალთაგან ერთ-ერთი ბოლომდე მზად იყო ბავშვის ტკივილის ხარჯზე მისი წრიდან გაყვანისთვის ებრძოლა. გამომდინარე აქედან, „დედობრივი აზროვნება“ და ქალის ზოგადი შემწყნარებლური იმიჯი ყველა ქალზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად არ გამოდგება.

ქალები ყოველდღიურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების დროს გადაწყვეტილებების მიღებისას ურთიერთობას ანიჭებენ უპირატესობას. ამ კუთხით გილიგანის მოსაზრება ქალებსა და მამაკაცებს შორის მიდგომების სხვადასხვაობის შესახებ

სიმართლესთან ახლოსაა, თუმცა ყოველდ-ღიურობის მიხედვით სხვა უფრო რთული შეფასებების გაკეთება, როგორიცაა სამ-ყაროს ბუნების არის გაგება, ადამიანის მთავარი მიზანი და სხვა, სწორი არ იქნე-ბა. მიმდინარე ყოველდღიურობაში ქალსა და მამაკაცს შორის დამოკიდებულებების თვალსაზრისით რაღაც განსხვავება იქნე-ბა, მაგრამ ჭეშმარიტებასთან მათი დამო-კიდებულების მეტაფიზიკური ანალიზისას განსხვავებაზე საუბარი სულ სხვა რამაა.

აკადემიური ფემინიზმი იმდენად შორს წავიდა, რომ ისინი ამტკიცებენ ეს განსხვა-ვება ცოდნისა და ჭეშმარიტების აღქმის დროსაც ვლინდებაო. აკადემიური ფემი-ნიზმის საფუძველი ეყრდნობა მოსაზრე-ბას, რომ ქალებისა და მამაკაცების აზ-როვნება განსხვავებულია. ისინი ამტკიცე-ბენ, რომ ამის გამო მამაკაცებს ქალების შესახებ სათქმელი არაფერი აქვთ. მათი მტკიცებით ცოდნაც სქესზეა დამოკიდებუ-ლი და რა არის მართალი და რა-მცდარი, ამის გაგება და გადაწყვეტილების მიღება მეტწილად ადამიანის სქესობრივ კუთვნი-ლებაზეა დამოკიდებული. შესაბამისად ქა-ლებისა და მამაკაცებისთვის „ჭეშმარიტე-ბა“ შეიძლება განსხვავებული იყო.

უკანასკნელი ორმოცდაათი წელია „ქალთა შეხედულებები“ ყოველდღიური

ცხოვრებიდან დაწყებული სამეცნიერო ფილოსოფიამდე განხილვის საგანია. გარდა ყოველდღიურ ყოფაში ქალთა მხრიდან განსხვავებული დამოკიდებულებების გამოვლინებისა და საზოგადოებაში მათი განსხვავებული როლისა, ასევე გარკვეულწილად განსხვავებულია ქალთა როლი და ვალდებულებები რელიგიაშიც.

თუმცა იმის მტკიცება, რომ ჭეშმარიტების აღქმის თვალსაზრისით ქალებსა და მამაკაცებს შორის განსხვავებაა, საერთოდ ეწინააღმდეგება ერთი ღმერთის რწმენის გაგებას და ამგვარი მოსაზრების განვითარება შეუძლებელია. ღვთიური ბრძანება რწმენისა და მსახურების შესახებ ქალსაც და მამაკაცსაც თანაბრად ეხებათ. მხოლოდ პრაქტიკულ რიტუალებშია განსხვავება. რელიგიური თვალსაზრისით მათი კატეგორიებად დაყოფა, რა თქმა უნდა მიუღებელია. ღმერთმა ადამიანი წყვილად გააჩინა და ეს მისი სიბრძნისა და უზენაესი ნების გამოვლინებაა.

მეორეს მხრივ ისტორიული გამოცდილება და ამ ყველაფრის უკანა ფონს უნდა მივაქციოთ ყურადღება. არსებობს მოსაზრება, რომ ტრადიციულ რელიგიებში ქალის ადგილი მამაკაცთან შედარებით მეორე საფეხურზეა გადაწეული. ამას ემატება ტრადიციული გაგება ქალის შესა-

ხებ, რომელიც ქალის თავისუფლებას აბრკოლებს და ქალსა და მამაკაცს შორის სრულ თანასწორობას ხელს უშლის. ამის გამოძახილია მორის ვინტერვიცის ცნობილი გამონათქვამი: „ქალები ყოველთვის რელიგიის საუკეთესო მეგობრები იყვნენ, მაგრამ ზოგადად რელიგია ქალის მეგობარი არ ყოფილა“.

ამგვარი დამოკიდებულების გამო მუდმივად მიმდინარეობდა ქალთა უფლებებისთვის ბრძოლა. მეცხრამეტე საუკუნიდან წარმოიქმნა ფემინისტური მოძრაობა, რომელიც ქალთა უფლებების დაცვისთვის იბრძოდა. ისინი უკვე ამბობდნენ, რომ ქალსა და მამაკაცს შორის ურთიერთობა ღმერთის მიერ არ რეგულირდებოდა და უფრო მეტიც, მათი უმრავლესობა უარყოფდა რელიგიას. ისინი აცხადებდნენ, რომ მამაკაცებმა სარწმუნოება სათავისოდ მოირგეს და ამის საპასუხოდ შექმნეს „ქალთა ბიბლია“.

თეოლოგიური თვალსაზრისით რომ შევხედოთ ქრისტიანობის ამ საკითხისადმი დამოკიდებულება, ვაღიარებთ, რომ ამგვარ რეაქციას გამოიწვევდა. ამის გამო თანდათან ჩამოყალიბდა აზრი, რომ რელიგია ქალებს ავიწროებს და ზღუდავს. როდესაც ამ კონტექსტში ისლამსაც განიხილავენ, აქ უნდა გავიხსენოთ, რომ ამ ყვე-

ლაფერს ისლამამდელი წარსულის უზარმაზარი გამოცდილება უდევს საფუძვლად.

ზევით წარმოდგენილ ორ იგავს თუ ხელახლა გავიხსენებთ, შეგვიძლია შემდეგნაირი დასკვნა გამოვიტანოთ: სიცოცხლისა და ჭეშმარიტების განსაზღვრების კუთხით ქალებისა და მამაკაცების მორალური მახასიათებლები და ეთიკური გამოვლინებები ასე უპირობოდ რომ „განსხვავებულობის“ ჩარჩოებში გამოვკეტოთ ზედმეტად სერიოზული განაცხადი იქნება. ამგვარი განაცხადი ერთი ღმერთის რწმენას არ შეესაბამება და ასევე შეუსაბამოა ადამიანური ჭეშმარიტების კუთხითაც. ამგვარი სენსიტიური თემები ისე უნდა იქნეს განხილული, რომ სქესთა შორის „დაპირისპირება“ არ გამოვიწვიოთ და საკითხს პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ.

muslim gossip
muslim gossip
muslim international charity foundation

ყურანის გზავნილი ქალის შესახებ

დოცენტი ისმაილ ქარაგოზ

ყურანის ძირითადი თემა ადამიანია. ადამიანი კი ღვთის გაჩენილთაგან ყველაზე სრულყოფილი, განვითარებული და დედამიწის მმართველადაა მოვლენილი. (იხ. ისრა 70; ენამ 165) სხვა ცოცხალი არსებების ადამინებისთვის წყალობადაა გაჩენილი. (იხ. იასინ 71-72; ლოყმან 20). ადამიანმა ყველა სხვა ცოცხალი არსებისაგან განსხვავებით იტყვირთა მოვალეობა, რომელსაც ღმერთის რწმენა და თაყვანისცემა ეწოდება. (იხ. აჰზაბ 72; ზარიათ 56). ესოდენ საპასუხისმგებლო მოვალეობის შესასრულებლად ადამიანს ღვთისგან ებოძა გონება, თავისუფალი ნება, მოვლენილ იქნა შუამავლები და წმინდა წიგნები. ამ ჭეშმარიტი მეგზურის დახმარებით ადამიანი ვალდებულია ჰქონდეს რწმენა, ემსახუროს გამჩენს, გაითვალისწინოს ვალდებულებები და აკრძალულები, გაითვალისწინოს ალალი და არამი, გაითავისოს ყურანის ზნეობა და ოჯახსა და საზოგადოებაში დაიცვას სხვათა უფ-

ლებები. ამ მიმართულებით ქალსა და მამაკაცს შორის რაიმე განსხვავება არ არსებობს. ეს ყველაფერი ეხება ადამიანს და ადამიანი ორივე სქესისათვის, ქალის და მამაკაცის საერთო სახელია. ყველა ადამიანი ერთი ქალისა და ერთი კაცისგან არიან გაჩენილნი. (იხ. ჰუჯურათ 13). ბილოგიური განსხვავება ადამიანობის მხრივ რაიმე განსხვავებას არ წარმოშობს. შთამომავლობის გამრავლებისთვის ქალიც და მამაკაციც, როგორც წყვილი, აუცილებელი არიან. ღმერთმა ადამი მშობლების გარეშე გააჩინა. ასევე გამონაკლისია იესოც, რომელიც ღმერთმა მამის გარეშე გააჩინა, მაგრამ იესოს დედა ჰყავდა. (იხ. ალი იმრან 59). ღმერთის ნება და სიბრძნე ასეთია. მან ქალი დაადგინა დედად, რომელიც ნაყოფს კვებავს, შობს, ზრდის და ა.შ.

ყურანში ქალთა შესახებ ერთი სურაცაა მოვლენილი, „ნისა“, მაგრამ კაცებზე არ არის ცალკე სურა. ბუნებრივია ქალები ამით ამაყობენ. ყურანის მოვლინებამდე ხომ ქალი უუფლებო და დაჩაგრული იყო. (იხ. ნაჰლ 58)

ნისას სურას პირველივე აიათში ნაბრძანებია, რომ ქალებიც და მამაკაცებიც ერთი ფესვიდან მოდიან და ყოველი ადამიანის ჩასახვის ადგილი ქალია. შემდგომ აიათებში საუბარია ქალთა უფლებებზე,

ასევე მათ ეძლევათ რჩევა, რომ ერთ ქორწინებაში იყონ. ასევე სავალდებულო გახდა საჩუქარი, რომელსაც საქმრო საცოლეს ჩუქნის და რაც არ უნდა დიდი რაოდენობის იყოს ეს საჩუქარი, უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება. ამ სურას მიხედვით ქალებიც უკვე მემკვიდრეობის და საკუთრების უფლებას მოიპოვებენ და მათზე ქონების წართმევა კატეგორიულად იკრძალება. ნისას სურას შემდგომ აიათებშიც ოჯახური ცხოვრების წესები და ოჯახში შესაძლო პრობლემების მოგვარების გზებია წარმოდგენილი.

ყურანში რწმენის, ღვთისმსახურების, ზნეობრივი პრინციპების, ალალისა და არამის და სხვა მსგავსი საკითხების განმარტებისას მიმართვის ადრესატი არის ყოველთვის ადამიანი, რომელიც ქალსაც და მამაკაცსაც თანაბრად გულისხმობს. „მორწმუნენო“, „ადამიანებო“, ამგვარი მიმართვებისას ქალი და მამაკაცი თანაბრად იგულისხმება. მაგალითად, „მაშ, ირწმუნეთ ალლაჰი და მისი შუამავალი და ნათელი, რომელიც ზეგარდმოგივლინეთ. (თეღაბუნ 8)

„და აღავლინეთ ლოცვა, გაეცით ზექათი“ (ბაყარა 43)

„და მორჩილ იყავით ალლაჰისა და შუამავალის, ეგებ შეწყალებული იქმნეთ თქვენ!“ (ალი იმრან 132)

ყველა ამ აიათში ბრძანების ადრესატები არიან როგორც მამაკაცები, ისე- ქალებიც. მათ თანაბრად აქვთ პასუხისმგებლობა რწმენაზე, ნამაზზე, ზექათზე, შუამავლისადმი მორჩილებაზე და სხვ.

ნისას სურას 24-ე აიათში ნაბრძანებია:

„ნებადართულია თქვენთვის ცოლად შეირთოთ სისპეტაკის დაცვით თქვენი ქონებით და არა გარყვნილებისთვის. ხოლო იმისათვის, რა სარგებელიც მიიღეთ მათგან, მიეცით საზღაური (ურვადი) დადგენილისამებრ. და ცოდვად არ გექმნეთ, თუკი მორიგდებით დადგენილის შემდეგ. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია“.

„უეჭველად, მე არ დავუკარგავ ნაღვაწს, ვინც იღვაწა თქვენგან, კაცსა თუ ქალს, ერთმანეთისაგან ხართ თქვენ . (ალი იმრან 195)

„ვინც სიკეთე ჰქმნა კაცთაგან თუ ქალთაგან და იგი მორწმუნეა, მაშინ, უთუოდ, მას ტკბილი ცხოვრებით ვაცხოვრებთ და უთუოდ მივაგებთ მათ თავიანთ საზღაურს უფრო უკეთესით, რაც უკეთებიათ!“ (ნაჰლ 97)

„ვინც ჰქმნა სიავე, მხოლოდ მიეგება მსგავსი მისი. ხოლო ვინც ჰქმნა სიკეთე, მამაკაცმა თუ დედაკაცმა და იგი მორწმუ-

ნეა, სწორედ ისინი შევლენ სამოთხეში, სადაც უთვალავ სარჩოს მიიღებენ.“ (მუმინ 40)

აიათებში ნათლად არის წარმოდგენილი ბრძანებები, რომლებიც ქალებსა და მამაკაცებს თანაბრად ეხება. აიათებში საუბარია სასჯელსა და ჯილდოზე, რომელიც ორივე სქესის წარმომადგენლებს თანაბრად ეხებათ. ქვემოთ მოცემულ აიათებშიც ნათლად ჩანს, რომ ქალიც და მამაკაციც თანაბარი პასუხიმგებლობით არიან დავალებული:

„თვალთმაქცი კაცები და თვალთმაქცი ქალები ერთმანეთს ჰგვანან: უბრძანებენ ერთმანეთს უკეთურობას და უკრძალავენ სიკეთეს , და ხელმომჭირნეობენ. მათ დაივიწყეს ალლაჰი. მაშ, დაივიწყა მანაც ეგენი . უეჭველად, თვალთმაქცნი არიან გზასამცდარი!

აღუთქვა ალლაჰმა თვალთმაქც კაცებს და თვალთმაქც ქალებს და ურწმუნოებს ჯოჯოხეთის ცეცხლი, სადაც სამუდამოდ დამკვიდრდებიან. იგი ეყოფათ მათ . და ალლაჰმა დაწყევლა ეგენი, და მათთვისაა გამზადებული მუდმივი სასჯელი!“ (თევბე 67-68)

„მორწმუნე კაცები და მორწმუნე ქალები ერთმანეთის დამხმარენი არიან. უბრძანებენ ერთმანეთს სიკეთეს და უკრძალავენ

უკეთურობას, აღავლენენ ლოცვას, გაიღებენ ზექათს და ალლაჰსა და მის შუამავალს ჰმორჩილებენ. სწორედ, მათ შეიწყალებს ალლაჰი. უეჭველად, ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია!

აღუთქვა ალლაჰმა მორწმუნე კაცებსა და მორწმუნე ქალებს სამოთხენი, სადაც ძირს მდინარეები მოედინება და სადაც სამუდამოდ დამკვიდრდებიან; თანაც ედემის ბაღები საუკეთესო ადგილსამყოფელად. და ალლაჰისგან კმაყოფილება ყოვლად აღემატება ამას , სწორედ ეს არის უდიდესი ნეტარება!“ (თევბე 71-72)

„უთხარი მორწმუნე კაცებს, მოარიდონ თვალნი მათნი აკრძალულს და დაიცვან ნამუსი მათნი. ეს უფრო წმინდაა მათთვის. უეჭველად, ალლაჰი უწყის, რასაც ისინი სჩადიან.“ (ნურ 30)

„და უთხარი მორწმუნე ქალებს, მოარიდონ თვალნი მათნი აკრძალულს და დაიცვან ნამუსი მათნი და არ გამოაჩინონ თავიანთი სამშვენისები, გარდა მოჩანს რაც მისგან ; დაფარონ საბურველით გულმკერდი და არ დაანახონ თავიანთი სამშვენისები არავის, გარდა ქმრისა, მამისა, მამამთილისა, ვაჟიშვილებისა, ქმრის ვაჟიშვილებისა, ძმებისა და ძმათა და დათა ძმებისა, მათი ქალებისა, მხევლებისა, რომ-

ლებიც მათმა მარჯვენამ მოიპოვა, მამაკაცი მსახურებისა, რომლებსაც ქალის სურვილი არ გააჩნიათ, ბავშვებისა, რომლებიც ქალის სიშიშვლეს ვერ ამჩნევენ. და არ გადადგან ფეხი ისე, რომ არ გამოაჩინონ ის, რაც უნდა დამალონ. ჰეი მორწმუნენო! ერთბაშად შესთხოვეთ ალლაჰს მოტევება, ეგებ იქმნათ ნეტარნი!“ (ნურ 31)

აიათებში ცხადადაა მითითებული ქალთა და კაცთა მიმართ დადგენილი ღვთიური მოვალეობები და რაიმე განმასხვავებელ მიდგომაზე საუბარი არ არის. შემდეგი აიათი მორწმუნეთა მიმართ პასუხისმგებლობის მითითებისა და შესრულების შემთხვევაში შესაბამისი ჯილდოს შეპირების თვალსაზრისით ყველაზე პირდაპირია:

„უეჭველად, მუსლიმი კაცებისა და ქალებისათვის, მორწმუნე კაცებისა და ქალებისათვის, მორჩილი კაცებისა და ქალებისთვის, მართალი კაცებისა და ქალებისთვის, მომთმენი კაცებისა და ქალებისთვის, თავმდაბალი კაცებისა და ქალებისთვის, მოწყალების გამცემი კაცებისა და ქალებისთვის, მომარხულე კაცებისა და ქალებისთვის. უმანკოების შემნახველი კაცებისა და ქალებისთვის, ალლაჰის ხშირად მომხსენებელი კაცებისა და ქალებისთვის, ალლაჰმა გაამზადა მათთვის პატიება და უდიდესი საზღაური!“ (აჰზაბ 35)

ღვთისმსახურება, სიკეთის კეთება, მათი საშუალებით ადამიანობის გამოცდის ჩაბარება, სულიერი ამაღლება და საიქიო ცხონება, ეს ყველაფერი მორწმუნეთა მიზანი და მცდელობაა და ამ გზაზე ქალსა და მამაკაცს შორის რაიმე განსხვავება არ არსებობს. ქალებიც და მამაკაცებიც თანაბარ პოზიციაში არიან იმ თვალსაზრისით, რომ მათ შეუძლიათ იყონ კარგი მორწმუნეები, კარგი მუსლიმები და მოიპოვონ მუდმივი სასუფეველი.

ისლამის ისტორიაშიც ქალებს განსაკუთრებული როლი ჰქონდათ. შუამავლის პირველი მოწოდება რწმენისაკენ სწორედ მისმა მეუღლემ, ჰზ. ჰატიჯამ გაიზიარა. შუამავალს განსაკუთრებული ძნელბედობის ჟამს ჰატიჯა ედგა გვერდში. ჯიჰადის, ჰიჯრის და სხვა მნიშვნელოვან მოვლენებში მამაკაცებთან ერთად ქალებიც იღებდნენ მონაწილეობას. ამასთანავე ისინი აქტიური მორწმუნეები იყვნენ და შუამავალისადმი განსაკუთრებულ ერთგულებას იჩენდნენ. ამას აიათიც ადასტურებს:

„ჰეი, შუამავალო! თუ მოვლენ შენთან მორწმუნე ქალები, რომლებიც შემოგფიცავენ, რომ არავის ეთაყვანებიან, გარდა ალლაჰისა, არ მოიპარავენ, არ იმრუშებენ, არ მოკლავენ შვილებს, ტყუილს არ იტყვიან თავისი გაკეთებული საქმეების შესახებ,

არ იჭორავებენ და არ გეურჩებიან არანაირ კეთილ საქმეში, ირწმუნე მათი და სთხოვე ალლაჰს მათთვის პატიება. უეჭველად, ალლაჰი შემწყნარებელია, მწყალობელია“. (მუმთეჰინე 12)

აიათის მიხედვით ქალები უნდა მოერიდონ ჩამოთვლილ ექვს ცოდვას და ისინი მიღებული იქნებიან.

საბოლოოდ რომ შევაჯამოთ, რელიგიური ვალდებულებების შესრულებისას ქალებიც და მამაკაცებიც თანაბარ პასუხისმგებლობას იზიარებენ. გარდა ამისა ამ მიმართულებით ქალებს შედარებით ნაკლები ვალდებულებებიც კი აკისრიათ, რაც გამოწვეულია მათი ბიოლოგიური თავისებურებებით. ასევე ქალები გათავისუფლებული არიან ოჯახის რჩენის ვალდებულებისგან, რომელიც ძირითადად მამაკაცების მოვალეობაა.

„დედა აწოვებს ძუძუს სრულ ორ წელს. ეს იმათთვის, ვისაც უნდა დაასრულოს შვილების ძუძუთი კვება. მათ კი (კაცებს), ვისაც შვილი შეეძინებათ, გამოკვებონ ქალები და ჩააცვან წესისამებრ“. (ბაყარა 233)

ყურანის მიხედვით ქალი ალლაჰისა და შუამავლის მორჩილი, ყურანის მორალით აღზრდილიკარგი დედა, კარგი მეუღლე

და მოკლედ კარგი ადამიანი და კარგი მუსლიმი უნდა იყოს. ბუნებრივია ყურანი კრძალავს ქალების ჩაგვრას, მათ დამცირებას, მათზე ძალადობას, ვნებების დაკმაყოფილებისა და რეკლამის საშუალებებად გამოყენებას და ა.შ.

ყურანი ადამიანს უპირატესობას ღვთისმოშიშობის გამო ანიჭებს და არა სქესის, რასის, გვარიშვილობის და სხვა მსგავსი ფუჭი რაღაცაების გამო.

„ჰეი, ადამიანნო! უეჭველად, ერთი მამრიდან და ერთი მდედრიდან გაგაჩინეთ თქვენ და რომ შეიცნოთ ერთმანეთი, დაგადგინეთ ერებად და ტომებად. უეჭველად, თქვენგან ყველაზე პატივდებული ალლაჰის წინაშე თქვენში ყველაზე უფრო ღვთისმოშიშია. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ყველაფრისმცოდნეა!“ (ჰუჯურათ 13)

ქალთა მორწმუნეობის სოციალური გამოვლინება

დოცენტი ეჟდერ ოკუმუშ

ქალთა მორწმუნოება საზოგადობრივ ცხოვრებაზე ზემოქმედების თვალსაზრისით საყურადღებო ფენომენია. ოჯახში ქალის როლი და მისი წვლილი ბავშვების აღზრდაში ძალიან დიდია, შესაბამისად დიდია მისი როლი საზოგადოების ჩამოყალიბებაშიც. გამომდინარე აქედან, ქალის მორწმუნოება საზოგადოების რელიგიურობაზე დიდ გავლენას ახდენს. თურქეთში ქალთა მორწმუნოების მაჩვენებელი დიდი ხანია ცვლილებებს განიცდის და ამ ცვლილების ანალიზი ქალისა და ქალთა მორწმუნეობის სოციოლოგიური კვლევებითაა შესაძლებელი.

muslimgeorgia
Muslim Georgian Cultural Institute

უპირველეს ყოვლისა მორწმუნეობა და სქესობრივი კუთვნილება განვიხილოთ. უნდა აღინიშნოს, რომ რელიგია ადამიანებში სხვადასხვა ფორმით ვლინდება. მათი დამოკიდებულება რელიგიის მიმართ და ამ დამოკიდებულების გამოვლინება მრავალ

ფაქტორზეა დამოკიდებული. ამ ფაქტორების საწყისი ჩამონათვალი შემდეგია: ადგილი, დრო, პროფესია, რწმენა, იდეოლოგია, მიმდინარეობა, ასაკი, განათლება და სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანებში რელიგიურობის გამოვლინებას სქესობრივი კუთვნილებაც გარკვეულწილად ცვლის. შესაბამისად ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ ქალთა და მამაკაცთა მორწმუნეობაზე და გავაკეთოთ ანალიზი.

ქალი, როგორც განსხვავებული სოციალური აქტორი, მამაკაცთან შედარებით განსხვავებულ რელიგიურობას ავლენს. გამომდინარე აქედან ქალისა და მამაკაცის რელიგიური ცხოვრება განსხვავებული თვისებებით ხასიათდება. ქალის განსხვავებული რელიგიურობა საზოგადობაში მის იდენტობასა და პოზიციაზე პირდაპირ მოქმედებს. ქალის როლი საზოგადოებაში წარმოდგენილია სხვადასხვა სფეროებში მრავალი მიმართულებით. ამ მხრივ მნიშნელოვანია მათი დამოკიდებულებები და მდგომარეობა. მაგალითად განათლება, მამაკაცებთან ურთიერთობა, ოჯახში, სამსახურში და ქუჩაში ადგილი, სოფლელობა, ქალაქელობა და სხვა მსგავსი ფაქტორები მათი რელიგიურობის გამოვლინების თვალსაზრისით ძალზედ მნიშვნელოვანია. როდესაც ქალი აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას ეწევა მისი რელიგიურობის

გამოხატვა განსხვავებულია, ვიდრე მაშინ, როცა ის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად არ მონაწილეობს.

მოკლედ, ქალის რელიგიურობა მის საზოგადოებრივ სტატუსთან ახლო კავშირშია. ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოება რა სტატუსს ანიჭებს ქალს და ეს უკანასკნელიც თავისებურად მოქმედებს ქალის რელიგიურობასა და მის გამოვლინებაზე. თუ ქალი აქტიურადაა ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში, მისი რელიგიურობა უფრო თვალსაჩინოა და შესაბამისად საზოგადოებაზე უფრო მეტ გავლენას ახდენს. გარდა ამისა ტრადიციულ მორწმუნე ქალსა და თანამედროვე მორწმუნე ქალს შორის ზოგიერთი მიმართულებით განსხვავება შეინიშნება. ზოგადად საზოგადოებრივ ცხოვრებაში მორწმუნე მამაკაცი უფრო მეტად წარმოაჩენს თავის მორწმუნეობას, ვიდრე ქალი. გარდა ამისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ განათლების დაბალი დონე რელიგიაში ცრურწმენებს, ჯადოქრობას და მსგავს არასერიოზულ მიმართულებებს აჩენს.

ქალთა მორწმუნეობის შესახებ აქამდე რაც ვთქვით ეს ყველაფერი სხვადასხვა რელიგიაზე დამოკუდებულ ხალხებში სხვადასხვანაირი ფორმით ვლინდება. ქალთა

მორწმუნეობა განსხვავებული ფორმებითაა წარმოჩენილი ძირითად რელიგიებში, როგორიცაა იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი, ბუდიზმი და სხვა. სხვადასხვა რელიგიებსა და კულტურაში ქალის მორწმუნეობა და ზოგადად მისი როლი მოგვიანებით განვიხილოთ. რაც შეეხება ქალთა მორწმუნეობას ისლამში, თურქეთის მაგალითი რომ ავიღოთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შუამავლის მიერ ყურანისმიერი დირექტივების გათვალისწინებით ქალის ფაქტორი საზოგადოების ასპარეზზე გამოსვლას ცდილობდა და ეს წარმატებით განახორციელა კიდეც. შუამავლის მცდელობის ლოგიკური შედეგი იყო ის ფაქტი, რომ ქალები ცხოვრებისეულ თითქმის ყველა სფეროში აქტიურად ჩაებნენ და მამაკაცების მსგავსად თავიანთი წვლილიც დააფიქსირეს. შუამავლის შემდეგ ქალთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში უფრო მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა მისი მიმდევრების მოვალეობაა. ისლამამდელი პერიოდის ქალის მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, აშკარაა თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ისლამი ქალს. უმეცრების ხანაში ყოველგვარი ღირსეული სტატუსისგან შორს მყოფი ქალი, ისლამის მოვლინების შემდეგ საზოგადოების სრულფასოვანი წევრი გახდა.

ქალის სტატუსისა და უფლებების წინ წამოწევამ მისი რელიგიურობის წარმო-

ჩინება და საზოგადოებრივი აქტიურობა გამოიწვია. საამისო მაგალითების დანახვა „საჰაბეთა“ პერიოდშიც არის შესაძლებელი. შემდგომ პერიოდებში, დროისა და პირობების გათვალისწინებით ქალთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის და ზოგაქად ქალთა ადგილის დამკვიდრების დადებითი ტენდენცია ხანდახან ვარდნასაც განიცდიდა. ამის მიზეზი კი არა ისლამი, არამედ კონკრეტული ხალხის განსხვავებული კულტურა და ტრადიციები იყო. ამგვარი ვარდნების გამო ქალი არამარტო ჩამოშორდა საზოგადოებრივ ცხოვრებას, არამედ მისი რელიგიურობის გამოხატულებაც შეიზღუდა. აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი აზრის ცვლილება ქალის როლსა და მისი მორწმუნეობის გამოხატულებაზე პირდაპირ აისახება. ისტორიული ანალიზი ცხადყოფს, რომ ცვლილებები ქალთა აქტიურობაზე ზოგჯერ დადებითად აისახებოდა, ზოგჯერ კი პირიქით.

დღევანდელი თურქეთის მდგომარეობას თუ დავაკვირდებით ქალთა მორწმუნეობა არამარტო საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არამედ ყველა სფეროში წინა პლანზეა წამოწეული და უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ოჯახური ცხოვრების ასპექტში. მუსლიმი ქალი ყველა სფეროში, სადაც კი

ის მოღვაწეობს, განსაკუთრებით გამოხატავს თავის მორწმუნეობრივ იდენტობას.

თურქეთის მოდერნიზაციის პროცესში ცვლილებები ყველაზე მეტად ქალთა კატეგორიას შეეხო. ეს ასე იყო და დღემდე ასე გრძელდება. თანამედროვეობა, მოდერნიზაცია, განვითარება და სხვა მსგავსი საკითხები მუდმივად ქალთა ფაქტორის გათვალსიწინებით განიხილებოდა. მუდმივად მიმდინარეობდა კამათი ქალთა ადგილისა და როლის შესახებ. კამათობდნენ ქალთა განათლებაზე, მათი ჩაცმულობის სტილზე, ჯამაათთან ერთად ნამაზის შესრულებაზე და სხვა. ცვლილებები მოქმედებდა ქალთა აზროვნებაზე, მათი გამოხატვის ფორმებზე, რელიგიურობის გამოხატულებასა და ზოგადად რელიგიურობაზე. ცვლილებებმა განაპირობა ის, რომ ქალი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს აქტიური წევრი გახდა. ამგვარმა ცვლილებებმა ქალის რელიგიური ცხოვრებაც შეცვალა. შესაბამისად ქალთა მორწმუნოების განხილვისას თემის კომპლექსური ანალიზია საჭირო.

ერთ-ერთი თვლასაჩინო სფერო, სადაც ქალთა მორწმუნოება ყურადღებას იქცევს რელიგიური მსახურებაა. ქალები აქტურად არიან ჩართული რელიგიურ დაწესე-

ბულებებში და აქტიურად მონაწილეობენ საქველმოქმედო საქმიანობაში. ქალთა აქტიური ჩართულობა მხოლოდ რელიგიური სფეროთი არ შემოიფარგლება. ისინი მრავალ სხვა სფეროში მოღვაწეობენ. მორწმუნე ქალი მხოლოდ დიასახლისი, ან მხოლოდ ბავშვების დედა ან მეუღლე არ გახლავთ. ამავდროულად ის კონკრეტული პროფესიის წარმომადგენელია და სხვადასხვა სფეროშია დასაქმებული. ის არის რიგითი მუშა, მმართველი, ხელმძღვანელი მასწავლებელი, პოლიტიკოსი და სხვა. მორწმუნე ქალი არარ ირჩევს სახლში ჯდომას და მხოლოდ დიასახლისის სტატუსს არ ჯერდება. ქალი აქტიურადაა ჩართული სოციალურ ცხოვრებაში და ამით ის თავის მორწმუნოებას უფრო თვალსაჩინოს ხდის.

ურბანიზაციის პირობებში მორწმუნე ქალი იძულებულია თანამედროვე სწრაფი ცხოვრების ტემპს ფეხი ააყოლოს შესაბამისი ცხოვრების პირობებით იცხოვროს. ამ პროცესში მორწმუნე ქალი ცდილობს ერთის მხრივ არ ჩამორჩეს თანამედროვე გამოწვევებს და მერეს მხრივ თავისი მორწმუნეობრივი იდენტობა შეინარჩუნოს. თურქეთის მაგალითს თუ ავიღებთ, თანამედროვე პირობებმა მორწმუნე ოჯახებში ბავშვების რაოდენობის შემცირება გამოიწვია. ოჯახსა და ოჯახის გარეთ ქალის

და კაცის როლები შეიცვალა. ამასთანავე ქალთა ტრადიციული მორწმუნეობა სწავლაზე დაფუძნებულმა მორწმუნეობამ შეცვალა.

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia international charity

ქალის შიდა საკუთარი თავის აღმოჩენა

ალიე ჩინარ

თურქეთის რეალობაში ქალის იდენტობის განსაზღვრისა და საკუთარი თავის შეცნობის თვალსაზრისით ორი დაბრკოლება შეინიშნება. ამათგან თითოეული მეორის დაკნინებას ცდილობს, მაგრამ საბოლოო ჯამში ორი განსხვავებული გზიდან წარმოჩენილი ერთმანეთის ძალიან მსგავსი ქალის ტიპი ყალიბდება. კარგი, რა არის ეს ორი დაბრკოლება? პირველი რელიგიის სახელით, მაგრამ სინამდვილეში რელიგიასთან საერთოდ კავშირში არმყოფი სტილით ქალის იდენტობის განსაზღვრა, რაც ტრადიციებითა და დოგმატიზმითაა გამოწვეული. რაც შეეხება მეორეს, ეს არის რელიგიისგან ქალის გათავისუფლების სახელით მოქმედი კაპიტალისტური ბაზარი, რომელმაც ქალი ერთგვარ ბლოკადაში მოამწყვდია.

ქალზე საუბრისას ბუნებრივია მისი საპირისპირო პოლუსი, მამაკაციც გვახსენ-

დება. ყურანიში არის მრავალი შეგნება ქალისა და მამაკაცის ურთიერთობებზე. მაგალითად ბაყარას სურას 187-ე აიათში ნაბრძანებია: „ისინი სამოსელია თქვენი და თქვენ ხართ სამოსელი მათი“. ამ აიათის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ რელიგიის სახლით ქალის უკანა პლანზე გადაწევის მცდელობა აშკარად შეუსაბამოა ტენდენციაა. ეს მეტაფორიული ნათქვამი „სამოსელი“, ასე ვერ განხორციელდება. იქნებ ეს ტერმინი საშუალებაა საიმისოდ, რომ ქალმა და მამაკაცმა თავიანთი საზღვრები დაადგინონ. საზღვრების დადგენისას სულიერი საფარველის მნიშვნელობა უდაოა. წინააღმდეგ შემთხვევაში ქალის ფუნქცია მხოლოდ ბავშვის დაბადება და საოჯახო საქმეების კეთებით იქნება. მხოლოდ ამ ფუნქციას თუ მივაკუთვნებთ ქალებს, მათი მხრიდან სულიერი საზღვრების პოვნა რთული იქნება. ქალის ასეთი შეზღუდვა და მარტივ ჩარჩოებშ გამომწყვდევა კაცების მდგომარეობაზეც უარყოფითად აისახება. ასეთი ქალი მამაკაცისთვის ვერ იქნება იდეალური „სამოსელი“. ქალმაც და მამაკაცმაც თავიანთი სულიერი საზღვრები უნდა დაადგინონ და შემდგომ ამისა ერთიმეორისათვის გამაერთიანებელ, ერთმეორის შემავსებელ „პოლუსებად“ უნდა ჩამოყალიბდნენ. გამომდინარე აქედან, ისლამი განმარტავს, რომ ქალი და მამაკაცი ერთიმეორეს უნდა ავსებდნენ და ერთი-

მეორისთვის ბედნიერების მოპოვების საშუალებას უნდა წარმოადგენდნენ და ეს ძალიან სიღრმისეული მნიშვნელობის მატარებელია. ქორწინება არ არის მხოლოდ ფიზიკური სიახლოვისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ლეგიტიმური საშუალება. ქორწინება თავისთავში ამ ყველაფერს და ამასთანავე გაცილებით მეტს მოიცავს. რახან ეს ასე გვესმის, მაშ რა არის მიზეზი იმისა, რომ რეალური მდგომარეობა საკამათოა? ამის მიზეზი თავიათი კომფორტისათვის შესაბამისობაში მოყვანილი მამაკაცისეული გაგება უნდა იყოს. ამგვარ „თამაშში“, სადაც ქალი ზეწოლის ქვეშაა და გაჩუმებას აიძულებენ, მისი დამორჩილება და მასზე სრული ჰეგემონიის მოპოვება არც ისე იოლია და ამისგან ორივე მხარე ზარალდება.

მეორეს მხრივ ამგვარმა დამოკიდებულებამ სხვა ტიპის ზიანი მოუტანა ქალს. თურქეთის მაგალითი რომ ავიღოთ, ქალთა თავისუფლების მქადაგებლები გაიძახიან, რომ რელიგია ქალს მონად აქცევსო და ქალებს ჟურნალების გარეკანებზე და პოდიუმებზე ეპატიებიან. ამგვარი გაგება უფრო მეტ ზიანს აყენებს ქალს. თუ წინა შემთხვევაში ქალი ოჯახში იყო გამოკეტილი და შეზღუდული ფუნქციებით სარგებლობდა, ამ შემთხვევაში ქალის სხეული სავაჭრო საგანი გახდა და მხოლოდ მისი

სხეული წამოიწია წინა პლანზე, ხოლო სულიერი მხარე უკანა პლანზე გადაიწია. კარგი. ამ შემთხვევაში შესაძლებელია თუ არა, რომ ქალმა და მამაკაცმა ერთიმეორეს თავიანთი საზღვრების პოვნაში დაეხმარონ? მიუხედავად იმისა, რომ ორივე სქესის წარმომადგენლებს მდიდარი პოტენციალი გააჩნიათ, კაპოტალისტური გაგება მაინც სქესიბრივ განზომილებაში ექაჩება მათ. ისინი არა გამთლიანების, არამედ გაუცხოების გზას ადგანან. ისინი უკვე მრავალფეროვანი სხეულების ძიებაში არიან.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე ქალს სრული ღირსება ისლამმა დაუბრუნა. ისლამის მიხედვით ქალი ნაკლოვანი, ან მაცდუნებელი არსება კი არ არის, არამედ ის პიროვნულადაც და საზოგადოებაშიც სრული უფლებით სარგებლობს. ისლამამდელ არაბეთში იმდენად დაჩაგრული იყო ქალი, რომ მისი დაბადება სირცხვილად ითვლებოდა და ჩვილ გოგონებს მიწაში ცოცხლად მარხავდნენ. შემდგომ პერიოდშიც ზოგიერთ კულტურაში ფართოდ იყო გავრცელებული დამოკიდებულება, რომელიც ქალთა მიმართ აბსოლუტურად დისკრიმინაციული იყო. მაგალითად ასეთი „ფრთიანი“ გამონათქვამი: „ქალს ჭკუა ჰკითხე და საპირისპიროდ მოიქეცი“. ისლამი კი ქალსაც და მამაკაცსაც თანაბრად მიმართავდა. იმ პერიოდისთვის ეს

იყო რევოლუციური ნაბიჯი. ქალი უკვე როგორც პიროვნება, როგორც მამაკაცის თანასწორი, ისე მოიხსენიებოდა. ბუნებრივია პასუხიმგებლობის მატარებელ პიროვნებას ზნეობრივად რაიმე ნაკლოვანების წინაპირობა არ უნდა ჰქონოდა. ისლამმა მიანიჭა ქალს ყველა უფლება და ასევე მამაკაცთან ერთად დააკისრა რელიგიური ვალდებულებები.

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia international charity

ქალთა მორწმუნეობა მოჩვენებითია თუ რეალობა?

ასიმ იაფიჯი

მიუხედავად იმისა, რომ მორწმუნეობა საკმაოდ აქტუალური თემაა და მის შესახებ ხშირად გაიგონებთ, აკადემიური გაგებით რელიგიურობის განმარტება, განზოგადება და სრული გაანალიზება საკმაოდ პრობლემატურია. რა თქმა უნდა ეს განპირობებულია იმ ფაქტით, რომ რელიგიურობა ერთი ხელის მოსმით, იოლად გასაანალიზებელი და იოლად გასაგები არ გახლავთ. „ვინ არის რელიგიური? პიროვნება რელიგიურად რომ ჩავთვალოთ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს? შესაძლებელია თუ არა, რომ რელიგიურობის სხვადასხვა ტიპი არსებობდეს? რელიგიურობაში რა ადგილი უკავია სულიერებას? და ა.შ. ამგვარი შეკითხვების ზუსტი და ამომწურავი პასუხი ჯერ კიდევ არ არის მიგნებული. ამ საკითხზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს კამათი და არსებობს სხვადასხვა მოსაზრება ზოგადად რელიგიურობის რაობისა რელიგიური ადამიანების თვისებებზე.

ზოგადი სურათი რომ დავხატოთ, ყოველი ადამიანის გრძნობები, აზროვნება და ქცევები იმ რელიგიასთანაა კავშირში, რომელსაც ის მიეკუთვნება. თუმცა აქ საკითხი რთულდება იმ თვალსაზრისით, რომ რთულია როგორ გავზომოთ ეს ყველაფერი. ამ მიმართულებით სამი ძირითადი პრობლემა იკვეთება: ა) პირვნების მიერ საკუთარი თავის რელიგიურად ჩათვლა; ბ) გარემოს აზრი და ამ პიროვნების რელიგიურ პიროვნებად მიჩნევა; გ) სანდო საზომებით პიროვნების რელიგიურობის ხარისხის განსაზღვრა. გარდა ამისა, აქ კიდევ წამოიჭრება ერთი კითხვა: „რელიგიურობის სახელით ცნობილი მოვლენა, რამდენად არის რეალურად რელიგიურობა?“ ამ კითხვას თუ დავამატებთ საკითხი ჩიხში შევა. გამომდინარე აქედან, რელიგიურობის სქესთან კავშირზე საუბრისას ამ ტიპის პრობლემები და საზღვრები უნდა გავითვალისწინოთ.

საზოგადოების გარკვეულ წრეებში მუსირებს მოსაზრება, რომ ქალები უფრო რელიგიურები არიან, მაგრამ ვინ უფრო რელიგიურია, ქალი თუ კაცი, ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად რელიგიურობის სრული განმარტება, მისი საზღვრებისა და საზომების დადგენაა საჭირო.

რელიგიური ცხოვრების ზოგადი მიმოხილვის მცდელობისას ცხადი ხდება, რომ ზოგიერთი მიმართულებით ქალები უფრო რელიგიური ჩანან, ხოლო სხვა მიმართულებით-მამაკაცები. მაგალითად ზოგიერთი კვლევის მიხედვით ქალები „ზოგადი რელიგიურობის“, სოციალური რელიგიურობის“, „ღვთისადმი მორჩილებისა“ და“ მონანიების“ მიამრთულებით ლიდერობენ, ხოლო მამაკაცები „ავტორიტეტული მორწმუნეობით“ გამოირჩევიან. ფუკუამას კვლევების მიხედვით ქალები რწმენის, ღვთისმსახურებისა და რელიგიური გრძნობების მიმართულებით ლიდერობენ, ხოლო მამაკაცები ცოდნის სფეროში არიან ლიდერები.

რაც შეეხება „იაფიჯი“-ს კვლევას, „რელიგიის ეფექტის შეგრძნება“, „ვედრება“, „მონანიება და მიტევების სურვილი“, „რელიგიაზე მნიშვნელობის მინიჭება“ და „რელიგიის ინდივიდუალური აღქმა“ ის სფეროებია, სადაც გამოკითხული გოგონები ლიდერობენ, ვიდრე ბიჭები, ხოლო რაც შეეხება ნამაზს, მარხვას და რწმენას, აქ დიდი განსხვავება არ შეინიშნება. ამ შედეგების მიხედვით ქალები მამაკაცებთან შედარებით უფრო მეტად არიან მიდრეკილი რელიგიურობისკენ. იგივს ამტკიცებს მილლერისა და ჰოფმანის კვლევები, რომელიც ასევე ქალთა და მამაკაცთა რელიგი-

ურობას შეეხებოდა. მათი შედეგების მიხედვით ქალები მამაკაცებთან შედარებით უფრო რელიგიურები არიან.

რატომ არიან ქალები უფრო რელიგიურები? ამ შეკითხვის პასუხის ძიებისას, ერთიმეორის გამომრიცხავი, მრავალი შეხედულება არსებობს. პირველი მოსაზრების მიხედვით ქალები საზოგადოებრივ ცხოვრებაში უფრო მეტი რისკის ქვეშ არიან და გარემო საფრთხეებისგან თავის დაცვის მიზნით უფრო მეტად არიან რელიგიისკენ მიდრეკილი (მილლერი და ჰოფმანი). ახალგაზრდა ქალები რელიგიურობის წყალობით უფრო ძლიერი და წარმატებული იმიჯით ერთვებიან სოციალურ სფეროში და ასევე ოჯახური ცხოვრების თვალსაზრისითაც, მორწმუნე ქალები უფრო სანდონი არიან როგორც ბავშვების აღზრდის, ისე ოჯახური სიმტკიცის მიმართულებით. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქალები გრძნობების მხრივ უფრო ძლიერები არიან ვიდრე მამაკაცები, ხოლო ფიზიკურად პირიქით არის, მამაკაცი ძლიერ სქესად ითვლება. ფიზიკური სისუსტე განაპირობებს იმას, რომ ისინი მამაკაცის მსგავსად გარემო ზიანისგან ან საფრთხეებისგან იოლად თავს ვერ იცავენ და უყალიბდებათ აზრი, რომ ისინი სუსტი სქესის წარმომადგენლები არიან. შესაძლებელია ამის გამო უფრო მიდრეკილნი

არიან რწმენისკენ, რადგან ისინი ზემაღალი ძალის მფარველობის საჭიროებას უფრო მძაფრად გრძნობენ. ამ მოსაზრების მიხედვით გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ქალი უზენაეს ავტორიტეტს მიეკედლება და ამაში სიმშვიდეს ჰპოვებს. ქალებისგან განსხვავებით მამაკაცები საკუთარ ეგოს უფრო მეტად ენდობიან და ამის გამო უსაზღვრო და უპასუხისმგებლო ქცევებისკენ არიან მიდრეკილნი. ამგვარი ქცევისა და მიდრეკილებების გამო ქცევების გაკონტროლების მექანიზმების, ან მოსალოდნელი განკითხვის გამო უსიამოვნებას განიცდიან. აღნიშნული მიდრეკილებებისა და შფოთვის გამო მამაკაცები ქალებთან შედარებით უფრო ნაკლებად გრძნობენ რელიგიისკენ მიდრეკილებას.

აქ ჩამოყალიბებულ მოსაზრებას შეგვიძლია დავამატოთ შემდეგი: ა) ქალი მამაკაცთან შედარებით უფრო მეტად გრძნობს დანაშაულს და მონანიების გრძნობა უჩნდება; ბ) ისინი უფრო მეტად არიან ჩამოშორებული საზოგადოებრივ აქტიურობას; გ) ისინი უფრო იოლად ექცევიან გავლენის ქვეშ; დ) პიროვნული მახასიათებლების მიხედვით ქალები უფრო ლმობიერი, დამთმობი, შემგუებელი, მორიდებული და მორჩილებისკენ მიდრეკილია; ე) ქალები უფრო ხშრად ექცევიან ყოველდღიური ცხოვრებიდან გამომდინარე სტრესის ქვეშ;

ვ) პატრიარქალური ცხოვრების წესი მორჩილებას და პასუხისმგებლობას ასწავლის მათ და შესაბამისად რელიგიის მიმართაც უფრო მეტად მიდრეკილებას იჩენენ.

ზემოთ აღნიშნული მოსაზრება დაფუძნებულია ქრისტიანულ საზოგადოებაში ჩატარებული კვლევებით და ეს მოსაზრება რამდენად გამოდგება მუსლიმი საზოგადოების და კერძოდ მუსლიმი ქალის დასახასიათებლად რა თქმა უნდა საკამათოა. აღნიშნული მოსაზრება, რომელიც ქალების უფრო რელიგიურობას გულისხმობს, სხვადასხვა რელიგიასა თუ კულტურაში მყარ დასაყრდენს ვერ პოულობს. უფრო მასშტაბური კვლევები ცხადყოფს, რომ რელიგიურობის მიხედვით ქალსა და მამაკაცს შორის მკვეთრი სხვაობა არ შეინიშნება. ამის საპირისპიროდ, იუდაიზმის მიმდევრებსა და მუსლიმებშ ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა, რომ მამაკაცები უფრო მიდრეკილნი არიან რელიგიურიბისკენ, ვიდრე ქალები.

თურქეთის მაგალითს თუ ავიღებთ, გამოკვლევების მიხედვით მუსლიმი მამაკაცები რელიგიურობის მხრივ უფრო მეტ ქულას იღებენ, ვიდრე ქალები, თუმცა არც ამ მოსაზრების განზოგადება ღირს. საბოლოო ჯამში ყველა ზემოთ მოყვანილი კვლევებისა და მოსაზრებების გვერდით

არსებობს საკმაოდ ძლიერი კვლევები, რომელთა მიხედვითაც რელიგიურობის თვალსაზრისით სქესს მნიშვნელობა არ აქვს და ეს პიროვნულია.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა მორწმუნეობის ხარისხს სხვადასხვა ფაქტორები განაპირობებს. ესენია: ასაკი, მატერიალური მდგომარეობა, განათლების დონე, შემოსავალი, პროფესია და სხვა. სხვადასხვა მხარეში ჩატარებული კვლევების მიხედვით გამოიკეთა, რომ დასაქმება ქალთა რელიგიურ ქცევებზე მოქმედებს. გარდა ამისა, კვლევებით დადგინდა, რომ დასაქმებული მამაკაცები უფრო ხშირად ასრულებენ რეგულარულ ნამაზს, ვიდრე დასაქმებული ქალები.

ამ ტიპის შედეგებით ცნობილი ხდება, რომ ქალთა რელიგიურობა სოციალური ცვლილებების კვალდაკვალ ცვლილებებს განიცდის. აქვე ჩანს, რომ რელიგიურობის ხარისხის მერყეობა მხოლოდ სქესზე კი არა, მრავალ სხვა ფაქტორზეა დამოკიდებული.

საკითხი რომ შევაჯამოთ, თურქეთის მაგალითზე ჩატარებულმა კვლევებმა შემდეგი შედეგები გამოავლინა: 1) ქალები მამაკაზებზე უფრო რელიგიურები არიან; 2) მამაკაცები ქალებზე უფრო რელიგიურები

არიან; 3) რელიგიურობის თვალსაზრისით ქალსა და მამაკაცს შორის არსებითი განსხვავება არ ფიქსირდება. ამ სამივე, ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებების მასაზრდოებელი და გამამყარებელი არგუმენტები არსებობს. გამომდინარე აქედან, დღეისათვის ზუსტი პასუხი არ არსებობს ზოგადად ქალი უფრო მორწმუნეა თუ მამაკაცი.

ქალთა ზოგად რელიგიურობაზე რომ ვისაუბროთ, ამ მხრივ გარკვეული თავისებურების გამოკვეთა შეიძლება, რომლებიც ქალებს უფრო მეტად ახასიათებთ. ისინი ტრადიციულ და ცერემონიალურ რიტუალებში უფრო ხშირად მონაწილეობენ. მაგალითად ისინი მევლუდისა და ჰათმის ცერემონიალებში უფრო ხშირად ერთვებიან, ვიდრე მამაკაცები. მადლიანად მიჩნეულ ღამეებში ნაფილე ღვთისმსახურებას უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ. მათი მორწმუნოების გონებრივ საფუძველს გაგონილი ძირითადად ინფორმაცია წარმოქმნის, თუმცა მათი რელიგიური ცხოვრებისადმი ერთგულება უფრო ძლიერია. ასევე ქალებში უფრო ძლიერადაა განვითარებული ცოდვა-მადლის აღქმის გრძნობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქალები ისეთ „სახალხო მორწმუნოებაზეც“ მეტად არიან მიდრეკილნი, როგორიცაა შე-

ლოცვა, ნუსხა, ჯადო, წმინდა ადგილებად მიჩნეული ადგილების მონახულება და იქ ლოცვა, ღვთისმსახურების შეპირება და სხვა. ისინი ასეთ, სახალხო და ტრადიციებიდან გადმონაშთი რელიგიურობისკენ უფრო არიან მიდრეკილნი. ამის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი მათთვის საკმარისი რელიგიური განათლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვაა. ამიტომ აუცილებელია ქალთა მაქსიმალური ჩართვა რელიგიურ სწავლებაში, რათა მათი მორწმუნეობისადმი ესოდენ დიდი სურვილი და მისწრაფება ცრურწმენებისკენ არ გადაიხაროს.

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia international charity

ქალთა მორწმუნეობის ეროვნული განზომილება

ჰალიდე იენენ

საკითხი თუნდაც ქალს ეხებოდეს, თუნდაც მამაკაცს, ცოდნის გარეშე მორწმუნეობა შესაძლებელია? საკითხის განხილვას ამ შეკითხვით დავიწყებ.

რელიგიურობა კონკრეტული რელიგიის წარმომადგენლობას ნიშნავს. რელიგიური თვალსაზრისით ეს არის რელიგიის მოთხოვნების სრული გათვალისწინება და შესაბამისად ცხოვრება. გამომდინარე აქედან იყო რელიგიური ნიშნავს შეისწავლო რელიგიის მოთხოვნები და ამ მოთხოვნების შესაბამისად იცხოვრო.

ამ შემთხვევაში რელიგიად ისლამი იგულისხმება და ისლამის პირველი ბრძანება, მოგეხსენებათ, რომ იყო „წაიკითხე“. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცოდნის გარეშე მორწმუნეობა შეუძლებელია. ადამიანი მონოტორულადაც რომ იმეორებდეს ყველაფერს და

სხვას ბაძავდეს, ამ შემთხვევაშიც ცოდნაა საჭირო. მან უნდა იცოდეს რას აკეთებს.

რაც შეეხება ქალთა მორწმუნეობას, აქ შუამავლის ცნობილი ჰადისით უნდა დავიწყოთ:

„ქალზე შემდეგი ოთხი მიზეზით ქორწინდებიან: ქონება, გვარიშვილობა, სილამაზე და მორწმუნეობა. შენ მორწმუნე შეარჩიე, წინააღმდეგ შემთხვევაში უბედურებაში ჩავარდები“.

როგორც ჰადისიდან ჩანს შუამავალი მორწმუნეებს ურჩევს მეუღლე შეარჩიონ არა ფულის, გვარიშვილობის ან სხვა თვისებით, არამედ მორწმუნეობით.

საზოგადოებრივი წყობილების ძირითად შემადგენელ ერთეულს ოჯახი წარმოადგენს. შესაბამისად შუამავლის ეს რჩევა უნდა გავითვალისწინოთ და კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ.

ჩვენი სარწმუნეობა ქალსაც და მამაკაცსაც თანაბრად აღიქვამს და მათ შორის განსხვავებული მიდგომები არ ახასიათებს. ამის კვალდაკვალ ისლამი მიუთითებს ქალის ადგილს საზოგადოებაში. ქალის სილამაზე, სიმდიდრე და გვარიშვილობა კარგია, მაგრამ ყველაზე მნიშვ-

ნელოვანი ჭეშმარიტების ცოდნა და ამ ცოდნის შესაბამისად ცხოვრებაა. ამ ცოდნის შეძენის პირველწყარო, რა თქმა უნდა ღმერთის ბრძანებაა: „წაიკითხე“.

მორწმუნოების ყველაზე უკეთესი გამოვლინებაა ადამიანმა გულწრფელად აღიაროს, რომ ის მხოლოდ ღმერთის მონაა და ღმერთი თავის მონასთან ყველაზე ახლოსაა. შესაბამისად მორწმუნემ თავისი ფიქრი და ქცევა ამის მიხედვით უნდა წარმართოს. ერთმა ბედუინმა შუამავალს ჰკიტხა ღმერთი ახლოს იყო თუ შორს. ამის პასუხად ღმერთმა შემდეგი აიათი მოავლინა:

„და თუ შეგეკითხებიან შენ (მუჰამმედ) ჩემი მსახურნი ჩემს შესახებ, უეჭველად, მე ახლოს ვარ, შევისმენ მლოცველის ვედრებას, როცა ის შემევედრება. მაშ, შეისმინონ ჩემი და მირწმუნონ მე, ეგებ სწორი გზით წავიდნენ!“ (ბაყარა 186)

ყურანში, მუჯადელეს სურას პირველი 4 აიათის მოვლინების მიზეზიც ერთ-ერთი ქალბატონის პროტესტი გახდა, რომელიც უმეცრების ხანის ტრადიციისამებრ ქმართან განქორწინებას აპროტესტებდა. ეს იყო მედინელი ენსართაგან ჰავლე ბინთი სალებე. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ჰავლე შუამავალს ეახლა და

თავისი პრობლემების შესახებ მოუყვა. მან აღწერა როგორ ემსახურებოდა ქმარსა და ოჯახს, მაგრამ ახლა რახან მოხუცდა სახლიდან წასვლა და უაპატრონოდ მიტოვება ემუქრებოდა. შუამავალმა მას უთხრა, რომ ამ საკითხზე ღვთიური გზავნილი არ იყო მოვლენილი და ჯერ ვერაფერს ეტყოდა. ჰავლემ ღმერთს სთხოვა გამოსავალი ეჩვენებინა. ამ ამბიდან მოკლე ხანში მუჯადელეს სურას პირველი ოთხი აიათი მოვლენილ იქნა და ჰავლეს საკითხი მის სასარგებლოდ გადაწყდა.

1. „უკვე ისმინა ალლაჰმა სიტყვა იმისა , რომელიც აბეზღებს შენთან თავისი მეუღლეს და შესჩივის ალლაჰს, რამეთუ ალლაჰი ისმენს თქვენს საუბარს. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმსმენია, ყოვლისმხედველია!

2. თქვენგან, რომელნიც ზურგს იქცევენ თავიანთი ცოლებისგან, არ არიან ისინი (მათი ცოლები) მათი დედები, რადგან მათი დედები მხოლოდ ისინი არიან, რომელთაც შობეს ისინი. და უეჭველად, ამის მთქმელები საძრახ სიტყვას და სიცრუეს ამბობენ. უეჭველად, ალლაჰი შემწყნარებელია, მიმტევებელია!

3. ხოლო რომელნიც ზურგს იქცევენ თავიანთი ცოლებისგან, მერე გათათქვამენ,

რაც თქვეს იმისთვის დაეკისროს ერთი მონის გათავისუფლება სანამ შეეხებოდნენ ერთმანეთს. სწორედ ესაა შეგონება თქვენთვის. უეჭველად, ალლაჰი უწყის რასაც აკეთებთ!

4. და ვისაც არა მოეპოვება, მაშინ ორი გადაბმული თვის მარხულობა სანამ ერთმანეთს შეეხებოდნენ. ხოლო ვისაც არ შესწევს ძალა, მაშინ დააპურება სამოცი უპოვრისა. ეს იმიტომაა, რომ ირწმუნოთ ალლაჰისა და მისი შუამავლის. ესაა საზღვრები ალლაჰისა. და ურწმუნოთათვისაა სასჯელი მწარე!

საზოგადოების საძირკველი ოჯახია, ოჯახს კი ასეთი მორწმუნე ქალი სჭირდება, რომელიც ოჯახის შენარჩუნებისთვის თავდაუზოგავად იბრძოლებს. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ, რომ ქალი მეორეხარისხოვნად, მხოლოდ გამრავლების საშუალებად აღიქმებოდეს. ქალს უნდა ჰქონდეს გარემო, სადაც თავის პიროვნებას განავითარებს. მამაკაცმა რაც არ უნდა მყარად მოახერხოს მიწაზე დგომა, თუ ქალიც მყარად არ დგას მომავალი თაობებისთვის სანდო მომავალს ვერ შექმნიან. მომავალი თაობებისთვის გადებულ ხიდს არ შეიძლება მხოლოდ ერთი საყრდენი ჰქონდეს, ისევე როგორც ნებისმიერ ხიდს.

შუამავლის ეპოქის ცნობილ ადამიანებს თუ განვიხილავთ, ხალიფა ომარის მორწმუნეობის განზომილება სიმართლესა და სამართლიანობაში ჩანდა. ხალიფა ოსმანი წესიერებით და ზნეკეთილობით გამოირჩეოდა, ხოლო ხალიფა ალი ჭკუითა და ცოდნით განვითარებულ მორწმუნეობას გამოხატავდა. ხალიფა აბუ ბაქარის მორწმუნოება მის სანდოობაში, ერთგულებაში, ცოდნასა და ღვთისმსახურებისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებაში გამოიხატებოდა.

სინამდვილეში ქალთა მორწმუნეობაზე საუბარი და ზოგადად სქესობრივ კუთვნილებაზე დაყრდნობით ანალიზი ძალიან რთულია. ამასთანავე, საყოველთაოდ გავრცელებული აზრის მიხედვით ქალთა მორწმუნეობა დამყარებულია უფრო გრძნობებზე, ვიდრე გონებასა და ცოდნაზე. აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ ამგვარი ზოგადი შეფასება სწორი არ არის და ქალებს შორისაც არის მორწმუნეობის სხვადასხვა მიმართულებებით გამოვლინების შესაძლებლობა. ქალთა მორწმუნოების გამოვლინებაზე მოქმედებს არამარტო სქესობრივი კუთვნილება, არამედ სოციალური სტატუსი, განათლების დონე, გეოგრაფიული ფაქტორი და სხვა. ერთნაირ პირობებში მცხოვრები ადამიანების მორწმუნოების გამოვლინებაც როგორც წესი განსხვავებულია და ინდივიდუალური.

ისლამის საწყის წლებში თუ ვიმოგზაურებთ დავინახავთ, რომ ქალთა მორწმუნეობა განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელი იყო. ამის დასტურია ჰზ. ჰატიჯას მორწმუნეობა, მისი თანადგომა და მხარდაჭერა, რომელსაც ის შუამავალს უწევდა. ასევე ჰზ. აიშე, მისი მორწმუნეობა მთელი მის ცხოვრებაშია თავმოყრილი და წარმოდგენილი.

შუამავალი მორწმუნეობის და ღვთისმსახურების პროცესში არა სიძნელეს, ადამიანის შესაძლებლობებისთვის ძნელ მიმართულებას კი არ გვასწავლის, არამედ თავისუფალ ნებაზე, ერთგულებაზე, გულწრფელ რწმენასა და წრფელ მსახურებაზე აგებულ მორწმუნეობას გვირჩევდა. ის მთელი ცხოვრება ცდილობდა ადამიანებისთვის ეჩვენებინა რწმენა, რომელიც გონებაზე, ცოდნასა და მორალურ სისპეტაკეზი იქნებოდა დამყარებული. ამას ამტკიცებს შუამავლის ჰადისები, სადაც გაიოლება ძირითადი ხაზია.

შუამავლის სწავლების მიხედვით ღვთისმსახურების შესრულებისას გაიოლების პრინციპია გამოკვეთილი და არა პირიქით, გართულების.

ზ. აიშეს მორწმუნეობა

ჰატიჯე ქუბრა გორმეზი

ჰზ. აიშე ისლამისა და მისი ადამიანებზე სწორად გადაცემის სახელით განსაკუთრებულ მორწმუნოებას ავლენდა და ისლამის სწორად სწავლის მიზნით მუდმივად შეკითხვებს სვამდა, რასაც შუამავალი პასუხობდა. ჰზ. აიშე თავის მხრივ ამ ყველაფერს სწავლობდა და ხალხს გადასცემდა. მისი ცოდნის არეალი მხოლოდ ქალბთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ წესებს კი არ შეეხებოდა, ის სხვა მიმართულებებითაც საკმაოდ განსწავლული იყო. შუავავლის გარდაცვალებიდან მთელი 47 წლის მანძილზე ჰზ. აიშე ისლამის ცოდნას ხალხს გადასცემდა.

მისი მდგომარეობა, ცოდნა და სტატუსი განსაკუთრებით მაღალ საფეხურზე იყო. ის განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა ღვთისმოსაობას. ღამ-ღამობით სისტემატიურად ნამაზს ლოცულობდა ხოლო დღისით უმეტესწილად მარხულობდა.

მისი ეს მორწმუნეობა საზოგადოებისგან განცალკევებული არ იყო. პირიქით, ის მუდმივად საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტას ცდილობდა. ის ობოლ ბავშვებს მფარველობდა, ზრდიდა, აქორწინებდა და ცხოვრების გზაზე აყენებდა. როგორც კი ფინანსური საშუალება გაუჩნდებოდა მონებს ათავისუფლებდა და ამით საუკეთესო მაგალითს იძლეოდა.

მისი მორწმუნეობა ხელს არ უშლიდა, რომ პოლიტუკურ პროცესებში მიმდინარე გადაცდომები გაეკრიტიკებინა და უსამართლობის წინააღმდეგ ხმა აემაღლებინა. თავდაპირველად მან აღიარა ხალიფა ოსმანის ხალიფობა და ერთგულება შეჰფიცა, მაგრამ მოგვიანებით ღიად აკრიტიკებდა. ხალიფას დაღუპვის შემდეგ ჰზ. აიშე ცდილობდა მკვლელობის მიზეზების გარკვევას და დამნაშავეების დასჯას მოითხოვდა.

ჰზ. აიშე ასევე აკრიტიკებდა მუავიეს, რომლის წინააღმდეგ იმ პერიოდში ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა. მან წერილი გაუგზავნა მუავიეს, სადაც ეუბნებოდა: „შუამავლისგან გამიგონია, რომ თუ ადამიანი არა სხვა ადამიანების, არამედ ღმერთის გულის მოსაგებად იზრუნებს, ღმერთი მას დაიცავს ყოველგვარი ზიანისგან, რაც შეიძლება მას ადამიანთა უკმაყოფილე-

ბის გამო შეხვდეს. ღვთის კმაყოფილების უგულებელყოფით და ადამიანთა გულების მოსაგებად ვინც იზრუნებს, ღმერთი მას მხოლოდ ადამიანების იმედად დატოვებს“.

მეორეს მხრივ ჰზ. აიშეს მორწმუნეობა მისი ადამიანური თვისებების გამოვლინებას ყოველთვის ვერ ფარავდა. ზოგჯერ შუამავლისადმი განუზომელი სიყვარულის გამო ეჭვიანობდა კიდეც და როდესაც შუამავალი ლოცვის მიზნით ღამეში ადგებოდა და მიდიოდა, აიშეს მისი თვალთვალი უნდოდა.

მისი მორწმუნეობა და ზოგადად როგორც მორწმუნე, ის არასოდეს იყო პასიური. ის ყოველთვის აქტიური იყო, როგორც მოსწავლე, როგორც მსმენელი და როგორც მასწავლებელი.

ის არ იყო ჩაკეტილი მხოლოდ მედინაში. ის სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრები მუსლიმების პრობლემების მოგვარებას ცდილობდა. მისი ცოდნა და დაგროვილი ინფორმაცია ისლამის სწავლულებისთვის დიდი ხაზინა იყო.